სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 40

2014 წლის 06 მაისი

ქ. თბილისი

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2014 წლის კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის წესის, საკონკურსო დოკუმენტაციისა და საპროექტო წინადადების ფორმიბის დამტკიცების შესახებ

,,უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტების, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2014 წლის 25 თებერვლის N3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2014 წლის კონკურსი;
2. დამტკიცდეს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2014 წლის კონკურსის წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2014 წლის კონკურსში წარსადგენი პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის, მკვლევართა ჯგუფისა და საბაზო

ორგანიზაციის ერთობლივი განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

4. დამტკიცდეს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2014 წლის კონკურსში წარსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2014 წლის კონკურსში წარსადგენი პროექტის რეზიუმეს ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2014 წლის კონკურსში წარსადგენი პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2014 წლის კონკურსში წარსადგენი პროექტის მონაწილეთა ავტობიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge;
9. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური

დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სმეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 06 მაისის N 40 ბრძანებით

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის 2014 წლის კონკურსის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის (შემდგომში – გრანტი) კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) მიზანია საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში მომუშავე წარმატებულ თანამემამულეებთან საქართველოს სამეცნიერო კადრების მჭიდრო პროფესიული ურთიერთობის ხელშეწყობა. საგრანტო დაფინანსება დაეხმარება საქართველოში მომუშავე მკვლევრებს, უკეთ გაეცნონ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს და აითვისონ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიები. ერთობლივი პროექტების განხორციელება ქართული სამეცნიერო დიასპორის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, მუდმივი საქმიანი კონტაქტი ჰქონდეთ სამშობლოსთან და თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ საქართველოში მეცნიერების დონის ამაღლებას.

2. საგრანტო კონკურსი იმართება ღიად და საჯაროდ, გამჭვირვალე კონკურენტულ გარემოში, დამოუკიდებელ მაღალკვალიფიციურ ექსპერტიზაზე დაყრდნობით.

3. კონკურსი ტარდება „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილებითა (შემდგომში - დადგენილება) და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახდენს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი).

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

გ) პოტენციური აპლიკანტებისათვის პროექტების მომზადებისა და კონკურსის პირობების გაცნობის მიზნით საკონსულტაციო სემინარების ჩატარებას;

დ) საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;

ე) პროექტების ქულობრივი შეფასებისთვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

ვ) მიღებული შეფასებების მიხედვით დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენას, დამტკიცებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას;

ზ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

3) საგრანტო კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამო ან ყალბი ინფორმაციის შემცველი პროექტი შეიძლება მოიხსნას/შეწყვეტილ იქნას კონკურსის/დაფინანსების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდში განაცხადი შემოაქვს მკვლევართა ჯგუფს, რომელიც მიზნად ისახავს კვლევის ჩატარებას საბაზო ორგანიზაციის ბაზაზე.

2. საბაზო ორგანიზაცია შესაძლოა იყოს: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს საპატრიარქო, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

4. საკონკურსოდ წარდგენილ პროექტს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც არის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე (საქართველოს მოქალაქე ან საქართველოდან ემიგრირებული პირი ან მისი შთამომავალი). ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, აგრეთვე, უნდა ეკავოს სრული პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის (ან ეკვივალენტური) თანამდებობა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უნივერსიტეტში და ა.შ.) ან უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციაში/კლინიკაში იყოს ლაბორატორიის/ ჯგუფის/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან ეკავოს სხვა არჩევითი სამეცნიერო თანამდებობა.

5. საკონკურსოდ წარდგენილ პროექტს უნდა ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს მკვლევართა ჯგუფის მუშაობას პროექტის ხელმძღვანელის საქართველოში არყოფნის პერიოდში და მუდმივ კონტაქტში იმყოფება პროექტის ხელმძღვანელთან. თანახელმძღვანელი არის საქართველოში მცხოვრები პირი - საქართველოს მოქალაქე, მას უნდა ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

6. მკვლევართა ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ან არიან დოქტორანტურის ან მაგისტრატურის ან ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა რიცხვი პროექტში არ უნდა აღემატებოდეს ორს, ამასთან, თითოეულს დაგროვებული უნდა ჰქონდეს ტრანსფერისა და

დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემით სულ მცირე 120 კრედიტი. კონკურსის ფარგლებში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს 35 წლამდე ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა მონაწილეობას.

7. გრანტის მიმღებნი შესაძლებელია იყვნენ მკვლევართა ჯგუფის ის წევრები, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები.

8. დაუშვებელია ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე დროს ხელმძღვანელობდეს ან თანახელმძღვანელობდეს გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებისა ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსებში გამარჯვებულ ერთზე მეტ პროექტს.

9. ერთსა და იმავე პირს ერთსა და იმავე დროს მკვლევართა ჯგუფის წევრის/ძირითადი პერსონალის სტატუსით არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფონდის მიერ გამოცხადებულ გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებისა ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსებში გამარჯვებულ 2-ზე მეტ პროექტში.

10. დაუშვებელია უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსში ისეთი საპროექტო განაცხადის შემოტანა, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვა ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებთან. მაგალითად:

ა) ის, ვინც ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობს 2012 ან 2013 წლის გამოყენებითი, ფუნდამენტური ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებულ ერთ პროექტში, რომელიც დასრულდება 2015 წლის 31 მაისზე გვიან, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში ძირითადი პერსონალის სტატუსით ვერ მიიღებს ერთზე მეტ პროექტში მონაწილეობას;

ბ) ის, ვინც ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობს 2012 ან 2013 წლის გამოყენებითი, ფუნდამენტური ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებულ ორ პროექტში, რომლებიც დასრულდება 2015 წლის 31 მაისზე გვიან, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში ვერ მიიღებს ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობას;

გ) ის, ვინც სამეცნიერო ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას უწევს 2012 ან 2013 წლის ზემოთაღნიშნულ კონკურსებში დაფინანსებულ პროექტს, რომელიც დასრულდება 2015 წლის 31 მაისზე გვიან, შეძლებს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში ძირითადი პერსონალის (მაგრამ არა სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის) სტატუსით მხოლოდ ერთ პროექტში მონაწილეობას);

მუხლი 4. საკონკურსო პროექტების ფორმატი და დაფინანსება

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შესაძლებელია იყოს 24, 30 ან 36 თვე.

2. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება 24–თვიანი პროექტებისთვის უნდა იყოს არაუმეტეს 100 000 ლარისა, 30–თვიანი პროექტებისთვის – არაუმეტეს 125 000 ლარისა და 36–თვიანი პროექტებისათვის – არაუმეტეს 150 000 ლარისა.

3. პროექტის წლიური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.

4. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს როგორც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, ასევე არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებს:

ა) შრომის ანაზღაურება - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გრანტის მიმღების შრომის ანაზღაურებას საგრანტო დაფინანსების სახით და დამხმარე პერსონალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შრომის ანაზღაურებას.

ბ) მივლინება - აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის და დღიური ნორმის ხარჯებს („დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად). ასევე ქვეყნის გარეთ მივლინებული პირის სავალდებულო დაზღვევის და ვიზის გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გ) საქონელი და მომსახურება - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქონელი და მომსახურეობის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ხარჯების გაწევას. აღნიშნული მუხლი არ უნდა ითვალისწინებდეს მივლინებისა და ზედნადების ხარჯებს.

დ) არაფინანსური აქტივები - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების გაწევას. (სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის, კომპიუტერული და სხვა ტექნიკის შეძენის ხარჯს, რომელთა საექსპლოატაციო ვადა აღემატება ერთ წელს, მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება მომსახურების პროცესში და ერთეულის ღირებულება შეადგენს 500 ლარს და მეტს.)

ე) ზედნადები ხარჯები - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს საბაზო ორგანიზაციის მიერ გასაწევ ხარჯს, როგორიცაა: კავშირგაბმულობის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის,

წყლის, მიზნობრივი/მუნიციპალური დასუფთავების, საბანკო მომსახურების, ტექნიკურ და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე, გრანტით შეძენილი ძირითადი საშუალებების ტრანსპორტირებისა და მონტაჟის, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბუღალტრის მომსახურებისათვის გაწეულ შრომით დანახარჯებს.

5. პროექტის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურებას პროექტის ბიუჯეტი არ უნდა ითვალისწინებდეს. ხარჯები რომლებიც დაკავშირებულია პროექტის ხელმძღვანელის საქართველოში ვიზიტთან, დაჯამდება საქონელი და მომსახურების ეკონომიკურ კლასიფიკაციის მუხლში.

6. ზედნადები ხარჯების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 10%–ს.

7. პროექტში შემოთავაზებული კვლევა შესაძლოა წარმოადგენდეს სხვა საერთაშორისო პროექტით გათვალისწინებული კვლევის ნაწილს.

8. პროექტში დასაქმებული პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 1250 ლარს.

9. დაფინანსება ხორციელდება 6-თვიანი პერიოდებით. თითოეული პერიოდის დაფინანსების ოდენობა მითითებული უნდა იყოს საკონკურსო პროექტის ბიუჯეტში და უნდა დაიგეგმოს შესაბამის პერიოდში პროექტში განსახორციელებელი საქმიანობის მიხედვით. ყოველი პერიოდის ბოლოს პროექტის თანახელმძღვანელის მიერ ფონდს წარედგინება პროექტის შესრულების ანგარიში, რომელიც შედგება პროგრამული და ფინანსური ნაწილებისაგან. პირველი პერიოდის დაფინანსება ავანსის სახით გაიცემა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ყოველი მომდევნო პერიოდის დაფინანსება განხორციელდება ფონდის მიერ წინა პერიოდის ანგარიშის განხილვის აქტის საფუძველზე.

10.პროექტის ფინანსური ანგარიშსწორების საკითხები რეგულირდება ფონდსა და გრანტის მიმღებებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით.

11. გრანტის ფარგლებში შეძენილი ქონება რჩება გრანტის მიმღებ პირებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტს ფონდის ელექტრონულ ბაზაში არეგისტრირებს ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი. პროექტის რეგისტრაცია ხდება ფონდის ვებგვერდიდან: www.rustaveli.org.ge. იქვეა განთავსებული რეგისტრაციის ინსტრუქცია.

2. პროექტის რეგისტრაციამდე ფონდის ვებგვერდზე მეცნიერის ელექტრონული რეგისტრაცია უნდა ჰქონდეს გავლილი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელსა და ძირითად პერსონალს. (პროექტის ძირითადი პერსონალი მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული უნდა იყოს პირადობის მოწმობაში მითითებული მონაცემებით).

3. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო და, ამავე დროს, აუცილებელი საფეხურია პროექტის საბოლოო წარდგენა, რომლის შემდეგაც ელექტრონული ბაზა

პროექტს მიანიჭებს უნიკალურ შიფრს. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ პროექტის ატვირთული ვარიანტის რედაქტირება შეუძლებელი იქნება (იხ. რეგისტრაციის ინსტრუქცია).

4. კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდში წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის, მკვლევართა ჯგუფისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული უნდა იქნას წარდგენილი ფონდის კანცელარიაში).

ბ) ფონდის ელექტრონულ ბაზაში უნდა ატვირთოს პროექტის ძირითადი პერსონალის აკადემიური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები. თუ აკადემიური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, პირი წარადგენს დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებულ თარგმანსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ დოკუმენტს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ; დოქტორანტების, მაგისტრანტების ან ბაკალავრიატის სტუდენტების აკადემიური სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან; ამასთან ბაკალავრიატის სტუდენტს მითითებული უნდა ჰქონდეს მის მიერ დაგროვებული კრედიტების რაოდენობა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემით.

გ) საპროექტო წინადადება ქართულ და ინგლისურ ენებზე, ამ ბრძანების №3 დანართით დამტკიცებული ფორმების მიხედვით (უნდა აიტვირთოს ფონდის ვებგვერდზე);

დ) პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ე) პროექტის ბიუჯეტი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ვ) პროექტის მონაწილეთა ავტობიოგრაფია (CV) (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

5. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია, საბოლოო წარდგენის ჩათვლით, შესაძლებელი იქნება 2014 წლის 15 მაისიდან 25 ივნისის 24 სთ-მდე. ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2 ივლისის 18 საათისა.

6. ვადის დარღვევით შემოსული ან არასრული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში არ მიიღება.

7. პროექტის რეგისტრაციისას შესაძლებელია მიეთითოს არაუმეტეს სამი არასასურველი ექსპერტი, რომელთაც შესაფასებლად წარმოდგენილი პროექტი არ გაეგზავნება.

8. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

9. პროექტის ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობაზე პასუხისმგებელია პროექტის წარმდგენი მკვლევართა ჯგუფი.

10.ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 6. პროექტების შეფასება

1. საკონკურსოდ წარდგენილ პროექტებს ფონდში უტარდება წინასწარი ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის დროსაც მოწმდება პროექტის შესაბამისობა ფონდის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, შესაძლოა მოიხსნას კონკურსიდან.

2. წინასწარი ტექნიკური ექსპერტიზის შემდეგ კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტი გაივლის შეფასების პირველ საფეხურს.

3. შეფასების პირველ საფეხურზე პროექტი შესაფასებლად ეგზავნება ორ უცხოელ დამოუკიდებელ ექსპერტს, რომლებიც ხელმძღვანელობენ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმებით. თუ მიღებულ შეფასებებს შორის განსხვავება 15 ქულაზე ნაკლებია, პროექტის შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით. თუ განსხვავება არის 15 ქულა ან მეტი, პროექტი სარეცენზიოდ გაეგზავნება მესამე ექსპერტს. მიღებული სამი შეფასებიდან დაწყვილდება ერთმანეთთან ყველაზე ახლო მდგომი ორი შეფასება და მათი საშუალო არითმეტიკული იქნება პროექტის შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ სამი შეფასებიდან უმცირესი და უმაღლესი შეფასება თანაბრად განსხვავდება საშუალო შეფასებიდან, პროექტის შეფასებად ჩაითვლება საშუალო შეფასება (მაგალითად, თუ პროექტის შეფასებებია 60, 80 და 100 ქულა, შეფასებად ჩაითვლება 80 ქულა).

4. პროექტი სარეცენზიოდ არ გაეგზავნება მესამე ექსპერტს, თუ თავდაპირველი ორი ექსპერტის შეფასებისაგან არცერთია 81 ქულაზე მეტი.

5. პროექტები, რომლებიც მიიღებენ 91 ქულას ან უფრო მეტს, გადადიან შეფასების მეორე საფეხურზე.

5. შეფასებაში მონაწილე უცხოელ ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

6. შეფასების მეორე საფეხურზე პროექტის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი ხანმოკლე პრეზენტაციით წარდგება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი კომისიის წინაშე. კომისია განიხილავს პროექტის/კვლევის მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობას საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, გაეცნობა შეფასების პირველი საფეხურის შედეგებს და წერს ქულებს დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შეფასება გამოითვლება საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ დაწერილი შეფასების საშუალო არითმეტიკულის მიხედვით.

7. თითოეული პროექტის საბოლოო შეფასება მიიღება ორივე საფეხურის შეფასებათა შეკრებით. დასაფინანსებელი პროექტები შეირჩევა მიღებული შეფასების შესაბამისად პროექტების რანჟირებული ნუსხის მიხედვით. თანაბარქულიან პროექტებს შორის გამარჯვებულს კომისია გამოავლენს კენჭისყრით.

8. დასაფინანსებელი პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება ფონდის სამეცნიერო საბჭოს.

9. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ მკვლევართა ჯგუფის წევრების მოთხოვნის შემთხვევაში ფონდი უზრუნველყოფს მათი პროექტის შეფასებების გაცნობას.

მუხლი 7. საგრანტო ხელშეკრულება და პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას პროექტში მონაწილე მეცნიერთა ჯგუფთან და საბაზო ორგანიზაციასთან.

2. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის შემსრულებელთა მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, არა უგვიანეს 20 დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება.

3. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული საგრანტო პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

4. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

5. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

6. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებულ რესურსს, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;

დ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

7. პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება გადაეცემა ფონდს საკუთრებაში.

9. ფონდი უფლებამოსილია დასრულებული საგრანტო პროექტი შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს, რომლებიც დაადგენენ საგრანტო პროექტის განხორციელებისას შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას დაგეგმილ ამოცანებთან.

10. საგრანტო პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ საგრანტო პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

დანართი N2

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სმეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 06- მაისის N40- ბრძანებით

ეს განცხადება ავტომატურად შეივსება ფონდის ვებგვერდზე კონკურსანტების მიერ ელექტრონულ ბაზაში პროექტის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ!

სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდით დამოწმებული განცხადება წარდგენილ უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის 2014 წლის კონკურსი
პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის, მკვლევართა ჯგუფისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ქვემო ხელისმომწერნი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით "უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის #88 დადგენილებას, აგრეთვე, სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას საგრანტო კონკურსის წესის დამტკიცების შესახებ, საგრანტო პროექტების შეფასების მეთოდს და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი პროექტი 2014 წლის კონკურსში "უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის" მისაღებად.

1. **პროექტის შიფრი:** DI/--/---/14
2. **პროექტის სახელწოდება:**
3. **პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი):**
4. **პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):**
5. **პროექტის წარმომდგენ მკვლევართა ჯგუფი:**

პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
	ხელმძღვანელი	
	თანახელმძღვანელი	

6. საბაზო ორგანიზაცია:

საბაზო ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი

დანართი N3

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სმეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის -06- მაისის N-40 ბრძანებით

1. კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები

1.1 პრობლემის აქტუალურობა და კვლევის სიახლე

(პრობლემის მოკლე მიმოხილვა; პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; კვლევის მეცნიერული სიახლის აღწერა; პროექტის საბოლოო მიზანი და სხვ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1500-2500.)

1.2 კვლევის ობიექტი და ამოცანები

(აღწერეთ: კვლევის ობიექტი; კვლევის სტრატეგია; პროექტის განხორციელების ეტაპები და შესასრულებელი ამოცანები და სხვ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1500-2500.)

ამოცანების ჩამონათვალი პერიოდებისა და შემსრულებლების მითითებით

№	ამოცანის დასახელება	ამოცანის შესრულების სავარაუდო დრო თვეების მიხედვით	ძირითადი შემსრულებლები
1		(მაგ., მე-9-12 თვე)	
2			

3			
4			
n			

☐ თვეები გადათვალეთ პროექტის დაწყებიდან.

2 კვლევის მეთოდიკა და მოსალოდნელი შედეგები

2.1 კვლევის მეთოდიკის შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან

(აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები, მათი დასაბუთება; პროექტის ამოცანების რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები და მათი გადაწყვეტის მეთოდები და სხვ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 600-1200.)

2.2 კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი მნიშვნელობა კვლევის სამეცნიერო მიმართულებისათვის/მიმართულებებისათვის

(აღწერეთ: პროექტის დასრულების შედეგად მოსალოდნელი ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მნიშვნელობა კვლევის მიმართულებისა და მომიჯნავე სფერო(ები)სათვის; აგრეთვე, კვლევის შედეგების გამოყენების პერსპექტივები სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით და სხვ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1200-2000.)

პროექტის საანგარიშო პერიოდებში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შუალედური შედეგები/თვლადი ინდიკატორები ეტაპების მიხედვით

№	I პერიოდი (1-6 თვე)	II პერიოდი (მე-7-12 თვე)	III პერიოდი (მე-13-18 თვე)	IV პერიოდი (მე-19-24 თვე)
	შუალედური შედეგები/ თვლადი ინდიკატორების	შუალედური შედეგები/ თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი	შუალედური შედეგები/ თვლადი ინდიკატორების	შუალედური შედეგები/ თვლადი ინდიკატორების

ჩამონათვალი		ჩამონათვალი	ჩამონათვალი
1	1	1	1
2	2	2	2
3	3	3	3
n	n	n	n

საჭიროების შემთხვევაში ცხრილი დაამატეთ.

- *თვლადი ინდიკატორი:* კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში/ეტაპზე პროექტის ამოცანების შესრულების შედეგად მიღებული ერთი, ან რამოდენიმე თვლადი შუალედური შედეგი. მაგალითად, გამოქვეყნდება 2 სამეცნიერო პუბლიკაცია; მომზადდება 3 საკონფერენციო თეზისი; დამზადდება ექსპერიმენტული დანადგარის კონკრეტული (დასახელება) ბლოკ-სქემა და სხვ.
- თვეები/პერიოდები გადათვალეთ პროექტის დაწყებიდან.

1. Novelty of research, goals and objectives

1.1 Topicality of the problem and research novelty

(Brief description of the problem; Justification, why is the project important and topical; Description of scientific novelty of research, Ultimate goal of the project, etc. Recommended number of words 1500-2500)

1.2 Research subject and objectives

(Describe: Research subject; Reseach strategy, Project's implementation stages and tasks to be accomplished, etc. Recommended number of words 1500-2500)

List of Tasks with timeline and personnel involved

№	Title of the task	Expected time needed for accomplishment of the task, in	Key personnel

		months	
1		(For Example, 9-12 months)	
2			
3			
4			
n			

☐ Count months from the starting date of the project.

2 Research methods and expected outcomes

2.1 Compliance of research methods with the objectives of the project

(Describe: Necessary methods and means/ways to fulfil the planned tasks of the project, Their justification; Expected difficulties during realization of the project's objectives and the ways to overcome them, etc.) Recommended number of words 600-1200)

2.2 Expected outcomes of the research and their significance for scientific direction/directions of the research

(Describe: Significance of new or more advanced knowledge being developed by the project for the scientific direction and contiguous sphere/spheres of science; Also, the prospects of application of the research outcomes in terms of socio-political, societal, cultural or/and technical progress, etc. Recommended number of words 1200-2000)

For each reporting period: Countable indicators for expected outcomes of the accomplished work

№	I period (1-6 months)	II period (7-12 months)	III period (13-18 months)	IV period (19-24 months)
	Interim outcomes/ List of countable indicators	Interim outcomes/ List of countable indicators	Interim outcomes/ List of countable indicators	Interim outcomes/ List of countable indicators
1		1	1	1
2		2	2	2
3		3	3	3
n		n	n	n

Add a table if necessary.

*(**Countable Indicator**: One or several countable interim outcome/s achieved after accomplishment of each task in reporting period/stage. For example, 2 scientific articles will be published; 3 conference theses will be prepared; specific (name) block-scheme of experimental device will be constructed, etc.).*

- ☐ Count months/periods from the starting date of the project.

დანართი N4

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სმეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 06 - მაისის N-40 ბრძანებით

ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე

პროექტის რეზიუმე

პროექტის შიფრი:

პროექტის დასახელება:

კვლევის ქვემიმართულება/ქვემიმართულებები:

საგაზო ორგანიზაციის დასახელება:

პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი):

პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):

პროექტის ძირითადი შემსრულებლები:

№	პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი (გვარი, სახელი)	პოზიცია პროექტში	აკად. ხარისხი	დაბადების წელი

რეზიუმე

(არა უმეტეს 500 სიტყვისა)

დანართი N5

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სმეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 06 - მაისის N 40 ბრძანებით

პროექტის ბიუჯეტი

N	ხარჯვის კატეგორია	საანგარიშო პერიოდი 1	საანგარიშო პერიოდი 2	საანგარიშო პერიოდი 3	საანგარიშო პერიოდი 4	საანგარიშო პერიოდი 5	საანგარიშო პერიოდი 6	ჯამური ღირებულება
1								
	ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება	-	-	-	-	-	-	-
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება							-
3	მივლინება							-
4	საქონელი და მომსახურება							-
5	არაფინანსური აქტივები							-
6	ზედნადები ხარჯი							-
	ჯამი	-	-	-	-	-	-	-

დანართი N6

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სმეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 06- მაისის N-40 ბრძანებით

პროექტის მონაწილეთა ავტობიოგრაფია (CV)

<u>პერსონალური მონაცემები</u>

სახელი, გვარი (ქართულად):

სახელი, გვარი (ინგლისურად:)

სქესი:

მოქალაქეობა:

ელფოსტა:

პირადი ნომერი (11 ნიშნა):

დაბადების თარიღი:

მისამართი:

ქალაქი:

საფოსტო ინდექსი:

ქუჩა, სახლი, ბინა:

ტელეფონი:

მობილური:

სამსახური:

ბინა:

ინტერნეტი

ვებგვერდი:

<u>პროფესიული მოღვაწეობა</u>

სამეცნიერო / აკადემიური ხარისხი:

სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:

თანამდებობა (ქართულად):

თანამდებობა (ინგლისურად):

სამეცნიერო კვლევის მიმართულებები

მიმართულება 1

ქვემიმართულება 1

მიმართულება 2

ქვემიმართულება 2

მიმართულება 3

ქვემიმართულება 3

საკვანძო სიტყვები

ქართულად:

ინგლისურად:

განათლება

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი	წლები

ტრენინგები

	კურსის დასახელება	ტრენინგის ჩატარების ადგილი და ორგანიზაცია	წლები

სამეცნიერო გამოცდილება

N	ორგანიზაციის დასახელება	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	წლები

პუბლიკაციები

პუბლიკაციების რაოდენობა:

ციტირების ინდექსი:

პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან / მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, მონოგრაფიები:

N	ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი.	წელი

პატენტები (გამოგონებები)

N	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი	პატენტის გაცემის წელი

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

N	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის დასახელება	როლი პროექტში	წლები

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში (კონფერენციებში) მონაწილეობა

N	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი	წელი

დამატებითი ინფორმაცია

(სურვილის შემთხვევაში)

უცხო ენების ცოდნა

	ენის დასახელება	უცხო ენის ცოდნის დონე

სამეცნიერო ორგანიზაციების, საბჭოებისა და სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრობა:

	ორგანიზაციის დასახელება	სტატუსი	წლები

სტიპენდიები

ჯილდოები